№ 176 აგვისტო 18, ოთხშაბათი 1893 აგვისტო 18, ოთხშაბათი № 176

გაზეთი ღირს

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვი ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სა-პოლიტიკო და სა-ლიტერატურო გაზეთი 1877—1893

ანნა ანდრიას ასული ჯმუხაძისა შვილებითურთ, აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი მეუღლისა, ხოლო დანარჩენნი მამისა **დავით გლახას ძის ჯმუხაძისას,** სთხოვენ მობრძანდნენ განსვენებულის პანაშვიდზედ 18 აგვისტოს, საღამოს 7 საათზედ, ობშჩესტვენის ქუჩაზედ, საკუთარს სახლში. მიცვალებულის დასაფლავება 19 აგვისტოს იქმნება კუკიის სასაფლაოს ეკკლესიის გალავანში. მიცვალებულს გასვენებენ კალოუბნის ეკკლესიაში დილის $9^{1}/_{2}$ საათზედ. (2—1)

ჩუღურეთის წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიაში ამ ჟამად იატაკსა სცვლიან და ეკკლესიაში დასაფლავებულთა საფლავების ქვები აყრილ იქმნება. ამიტომ სთხოვენ მიცვალებულთა პატრონთ, მარმარილოს ქვები წარადგინონ ზედ წარწერით, უბრალო ქვების მაგივრად. (3—1)

დაუჯერებელი პასუხი

ჩვენ წავიკითხეთ გუშინ „Нов. Об.“-ში ერთი ახირებული ამბავი, რომლის დაჯერება, მართლა რომ ძნელია. მოსკოველ ვაჭარს ლიანოზოვს შეუწირავს სიღნახის სომხის სკოლისათვის სახლი, რომელიც ამ საპატიო კაცს სიღნახში ჰქონია, და მოუსურვებია სკოლას ამიერიდგან შემწირველის სახელი დაერქვას.

ამ კეთილსა და მოსაწონს განზრახვაზედ სიღნახის სკოლის გამგეობას შემდეგი დაუჯერებელი პასუხი მიუცია შემწირველისათვის: „რადგანაც მხოლოდ სახლის შემოწირვა ვერ დაჰფარავს სკოლის ყველა ხარჯებს და გარდა სახლის ქირისა სკოლას სხვა ხარჯიც სჭირია, ამისთვის, თუ გნებავთ თქვენი შეწირულობა მივიღოთ, ბარემ დანარჩენი სკოლის ხარჯიც იკისრეთო“.

ჯერ არ არის გამოცხადებული, დასთანხმდება დაჯაბნებული შემწირველი ამ გვარს პირობაზედ, თუ არა, მაგრამ აქ ის-კი არ არის საყურადღებო, როგორ მოიქცევა სიღნახის სკოლის გულ-შემატკივარი ვაჭარი, არამედ საკვირველი და გაუგებარი ის არის, რა ჭკუაში მოუვიდა სიღნახის სკოლის გამგეობას ასეთი უაზრო და უმზგავსო პირობის მიწოდება შემწირველისათვის?

ეტყობა, სომხები ერთობ წახალისებული უნდა იყვნენ ყოველ გვარ შეწირულობაზედ, რომ ასეთ პასუხს აძლევენ თავის ქველმოქმედ კაცებს. კარგია კიდევ, თუ კეთილად გათავდა ამ გვარი გულდიდობა სიღნახის სკოლის მზრუნველთა, და მოსკოველმა ვაჭარმა მართლა მიიღო თავის თავზედ სხვა სკოლის ხარჯიც. მაგრამ, რომ გაწყრეს ღმერთი, გაჯიუტდეს შემწირველი და სიღნახელთა სომეხთა მრისხანე ულტიმატუმზე ასე უპასუხოს: „მე, რაც შემეძლო და მსურდა, ის შემოვსწირე თქვენს სკოლას და, რაკი მარტო სკოლის სახლით არა კმაყოფილდებით, თუ სხვა ხარჯიც არ მივიღე, და იმაზედაც უარზე ხართ, რაც მოგართვით—თქვენი ნებაა—უკან დამიბრუნებია ჩემი შენაწირავი, თქვენ თქვენთვის და მე ჩემთვისო. მაგრამ გახსოვდეთ-კი: „ნაჩუქარს ცხენს კბილს არ უსინჯავენო“.

ამისთანა პასუხი ერთობ მოსალოდნელია და ვისურვებთ ამ შემთხვევაში არ გამართლებულიყოს ჩვენის ხალხის ანდაზა: „წუნიას რა აკლდებოდესო?—ისა, რასაც აძლევდნენო“. „გამარჯვებულთა არ ასამართლებენო“, ნათქვამია და ჩვენც გულ-წრფელად მიულოცავთ სიღნახის სკოლის მზრუნველთა, თუ-კი თავისი გაიტანეს, მაგრამ გულდიდა ქორის ამბავი თუ მოუვიდათ, ეს-კი საწყენი იქნება.

ამ ბოლოს დროს, არა თუ სომხებში, რომელნიც დიდი ხანია ეხმარებიან საზოგადო საქმეებს დიდძალის შეწირულობით, ქართველებსაც-კი გაეხსნათ მადა ამ კეთილის აზრისა. არ არის თითქმის სამნიშვნელო და სიმპატიური განზრახვა, თუ იგი ცხადდება საქვეყნოდ, რომ ყოველ მხრიდგან არ მოდიოდეს შესაწირავი. ასე წარმოიდგინეთ: შორს ციმბირიდგანაც-კი გზავნიან საცოდავნი, ბედისაგან განრისხული ქართველები თავის წვლილს, რომ დიდებულს რუსთველს ძეგლი აეგოს, კახეთის გაჭირვებულთა დაეხმარონ და სხ. თუ საზოგადოების სითბო-ზლეემ და თანაგრძნობამ არ უსუსტა ამ მრავალ დაწყებულ ქართულ საქმეებს—და ეს რატომ უნდა ვიფიქროთ!—მაშინ ათ, თხუთმეტ წელიწადს ჩვენ შეგვეძლება დავაკმაყოფილოთ დიდის ხნის წადილი ქართველის ერისა, თუ ბევრს საგანში არა, რამოდენში მაინც.

მხოლოდ, კიდევ ვიტყვით, ყველა ამ საქმეებს და საზოგადო მიმართულებას რიგიანი მოვლა და გაძღოლა სჭირია.

მეველე

◆◆

ოფიციალური ცნობა ხოლერის შესახებ

16 აგვისტოს, დილით, მიხეილის საავადმყოფოში სულ სამი ხოლერით ავადმყოფი იყო: სეროფ ოსიფოვი, კონსტანტინე მაჭავარიანი და ტიგრან ტიგრანოვი.

აგვისტოს 16 მიხეილის საავადმყოფოში ხოლერით ავადმყოფი არავინ არ მიუყვანიათ.

ამავე დღეს მორჩა და გამოიწერა მიხეილის საავადმყოფოდგან ხოლერით ავადმყოფი სეროფ ოსეფოვი.

მიხეილის საავადმყოფოში გუშინ დილით სულ ორი ხოლერით ავადმყოფი დარჩა.

რკინის გზის საავადმყოფოში აგვისტოს 16 მორჩა და გამოიწერა უკანასკნელი ავადმყოფი ხოლერით გრიგოლ კისელევსკი და ამ საავადმყოფოში გუშინ დილით არც ერთი ავადმყოფი აღარ იყო.

15 აგვისტოს სამხედრო საავადმყოფოში სულ ორი ხოლერით ავადმყოფი იყო, ანტონ ლელიუნი, რომელიცა რჩება, და იუდელ სეგალი, რომელსაც ხოლერა გამოაჩნდა და ისევ ხოლერის ავადმყოფების განყოფილებაში გადმოიყვანეს.

ამავე დღეს ხოლერით ავად გახდა და სამხედრო საავადმყოფოში მოიყვანეს პირველ კავკასიის საპიორნი ბათალიონის მოწაფე—ფელდშერი კაზიმირი ლავრინოვიჩი.

აგვისტოს 16-ს დილით სამხედრო საავადმყოფოში სულ სამი ხოლერით ავადმყოფი იყო.

აგვისტოს 16-ს დილით ავლაბარში ხოლერით ავად გახდა ტფილისის მცხოვრებელი ფანო მირაბოვი, რომელიც მაშინვე სამხედრო საავადმყოფოში გაგზავნეს, რადგანაც ეს სამკურნალო უფრო ახლო არის, მაგრამ ნაშუადღევის პირველ საათზე მირაბოვმა სული დალია.

გუშინ, 17-ს აგვისტოს, დილით ტფილისში სულ ხუთი ხოლერით ავადმყოფი იყო.

ქალაქ ფოთში აგვისტოს 12-ს დილით სულ ოთხი ხოლერით ავადმყოფი იყო, ამ დღეს, ე. ი. 12-ს აგვისტოს, ხოლერით ავად გახდა კიდევ ერთი კაცი, ერთი მორჩა, ერთი გარდაიცვალა და აგვისტოს 13-ს დილით სულ სამი ხოლერით ავადმყოფი იყო.

◆◆

ახალი ამბავი

⁂ უწმინდესმა სინოდმა შეიმუშავა ახალი პროექტი, რომლის ძალითაც ქალაქებში გაიმართება განათლებულ საზოგადოებისთვის ლექციები სასულიერო შინაარსისა. სატახტო ქალაქებსა და იმ ქალაქებში, სადაც უნივერსიტეტებია, ლექციებს წაიკითხავენ სასულიერო აკადემიის პროფესორები ღვთისმეტყველებისა, ხოლო დანარჩენ ქალაქებში—სასულიერო სასწავლებლების მასწავლებელნი.

⁂ კავკასიის სწავლა-განათლების ოლქის მზრუნველმა შეატყობინა ტფილისის კომიტეტს ერის კეთილდღეობისთვის მზრუნველ საზოგადოებისას, რომ სასწავლებლებში სწავლის დაწყება 15 სექტემბრამდე არ გადაიდება შემდეგის მიზეზებისა გამო. ამ ჟამად ხოლერით ძლიერ ცოტა ხდება ავად, ისიც უმეტეს ნაწილად ძლიერ ღარიბები. შარშან, სწავლა რომ დაიწყო და შესაფერი ღონისძიებანი იქმნა მიღებული, სასწავლებლებში ხოლერა არ გაჩენილა. გარდა ამისა, კავკასიის მთავრობას არ მიუმართავს საერო განათლების უწყებისთვის და არ უთხოვნია სწავლის დაწყების გადადება.

⁂ ტფილისის მერვე ნაწილის სანიტარო დასი ჩუღურეთში, პანასევიჩის ქუჩაზედ, ქალაქის ადგილზედ ჰმართავს უფასო საჩაიეს.

ასეთივე საჩაიე და უფასო სასადილო გაიმართება ავლაბარში, კახეთის ქუჩაზედ. საჩაიეს და სასადილოს გამართვა და ზედამხედველობა იკისრა ბ-ნმა ა. ი. ტერ-გრიგორიანცმა.

⁂ ახალციხის სატყეო სკოლაში მისაღები ეგზამენები დაიწყება 16 სექტემბერს.

ფელეტონი

ნიშანი

(მოთხრობა ვსევოლოდ გარშინისა)

სვიმონ ივანოვი რკინის გზაზედ მსახურად იყო. იმის სადარაჯოდგან ერთ სადგურამდე იქმნებოდა თორმეტი ვერსი, მეორემდის—ათი. ოთხის ვერსის სიშორეზედ დიდი სახლი ააგეს შარშან; ტყიდგან შავად გამოჩნდა იმისი მაღალი ბუხარი. ახლო-კი სხვა სახლი არსად იყო.

სვიმონ ივანოვი იყო ავადმყოფი, ჯან-გატეხილი კაცი. ცხრა წლის წინად ომში ყოფილიყო. ერთ აფიცერს ემსახურებოდა და მთელი დრო ჯარიანობისა იმასთან გაატარა. შიმშილიც გამოსცადა, ყინვაც; მზეზედაც იხრაკებოდა, დღეში ორმოცი და ორმოც-და-ათი ვერსიც გაუვლია სიცხე-პაპანაქებაში და ყინვაში; ტყვიების ზუზუნიც გაუგონია. მაინც, ღვთის წყალობით, არაფერი დაუშავდა.

ერთხელ ჯარი პირის-პირ იდგა მტერთან. მთელი კვირა თოფის სროლა არ შეწყვეტილა. პატარა ღელეს აქეთ ჩვენი ზარბაზანი იდგა, იქით თათრებისა, და მთელი დღე ტყვიას გაჰქონდა ზუზუნი. სიმონას ბატონ აფიცერიც იმ ჯარში იყო.

პოლკის სამზარეულოდგან სვიმონას ყოველ დღე დაჰქონდა სამოვარი, წვნიანი საჭმელი. მოდის სამოვრით გაშლილ ადგილზედ; იმის ყურთან გაიზუზუნებს ტყვია, ქვებზედ ტკაცატკუცი გააქვს, ეშინიან სიმონას, ტირის და მაინც მიდის... აფიცრები ძალიან მადრიელები იყვნენ: ყოველთვის ცხელ-ცხელი ჩაი ჰქონდათ.

ლაშქრობიდგან სიმონა უვნებელი დაბრუნდა, მარტო ხელ-ფეხმა ცოტად ტეხა დაუწყო.

მას აქედ ცოტა ვაგლახი-კი არ გამოიარა საწყალმა. მივიდა სახლში—ბებერი მამა მოუკვდა; პატარა ბალღი ჰყავდა, სულ ოთხი წლისა, იმანაც სული მიაბარა: ყელი სტკიოდა. დარჩა ცოლი-ღა.

კარგად ველარ წავიდა სიმონას საქმე. ძნელიც არის დასიებულის ხელით და ფეხით მუშაობა. ველარ გასძლო ცოლ-ქმარმა სოფელში; წავიდნენ სხვა ალაგას ბედის საძებნელად. ბევრი ადგილი მოიარეს, მაგრამ ვერსად ვერ ეწივნენ ბედსა. ცოლი მოსამსახურედ დაუდგა ერთ ვაჭარს, სიმონა-კი ისე დადიოდა.

ერთხელ რკინის გზით მოუხდა წასვლა. სადგურზედ უყურებს, თითქოს სადგურის უფროსი ნაცნობია.

დაუწყო სიმონამ ცქერა, უფროსი სიმონას სახეს აკვირდება. იცნეს ერთმანეთი: ერთი პოლკის აფიცერი გამოდგა.

— შენ ივანოვი არა ხარ? დაეკითხა უფროსი.

— დიაღ, თქვენო კეთილშობილებავ, მე გახლავარ.

— აქ საიდგან გაჩნდი?

მოუყვა სიმონა თავ-გადასავალს.

— ეხლა საით მიხვალ?

— არ ვიცი, თქვენო კეთილშობილებავ!

— როგორ თუ არ იცი, სულელო?

— სწორედ, თქვენო კეთილშობილებავ, ვერსად ვერ მივეკედლე. სამუშაო რამე მინდა ვიშოვო.

შეხედა უფროსმა, იფიქრა და ეუბნება:

— აი რა, ძმობილო. ჯერ-ჯერობით სადგურზედ დარჩი.

შენ მგონი ცოლი გყავს! ცოლი სადღაა?

— დიაღ, თქვენო კეთილშობილებავ, ცოლიანი გახლავარ. ცოლი კურსკში ერთ ვაჭართან მოსამსახურედ გახლავთ.

— მისწერე ცოლს, წამოვიდეს. უფასო ბილეთს გამოგრთმევ. მალე სადარაჯო განთავისუფლდება; დისტანციის უფროსს ვთხოვ, შენ დაგნიშნონ.

— დიდი მადლობელი გახლავარ, თქვენო კეთილშობილებავ, უპასუხა სიმონამ.

დარჩა სადგურზედ. უფროსის სამზარეულოში შველოდა, შეშასა სჭრიდა, ეზოს, პლატფორმას ჰგვიდა. ორის კვირის შემდეგ ცოლიც მოვიდა. სიმონა გადაიყვანეს სადარა-

⁂ ამ დღეებში ტელეფონები გაიმართა ამიერ კავკასიის რკინის გზის სადგურზედა და სამმართველოში.

⁂ ივლისის ნახევარში ფინანსთა მინისტრის მიერ დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში გაგზავნილი ინჟენერ-ტეხნოლოგი ბ-ნი გულიშამბაროვი, რომელსაც დაევალა ადგილობრივ შეისწავლოს ნავთის ვაჭრობის საქმე, ამ ჟამად იუწყება, რომ ზემოხსენებულ ქვეყნებში ძლიერ კარგი ბაზარია რუსეთის ნავთისთვისაო.

⁂ რადგანაც მოსკოვში ხოლერა გაჩნდა, ამ რკინის გზის მმართველობამ ბრძანება გამოსცა, რომ პეტერბურგიდგანა და მოსკოვიდგან მომავალ სახალხო მატარებელს მუდამ თან ახლდეს სასანიტარო ვაგონი ფერშლებით.

⁂ ფინანსთა მინისტრმა ბრძანება გამოსცა, სახელმწიფო საადგილ მამულო ბანკის მომგებიან ფურცლებზე კვლავ გაიცეს სესხი წლიურ $4^{0}/_{0}$-ით. 100 მანათიან ფურცელებზე გაიცემა არა უმეტეს 160 მანათისა.

⁂ ჩვენს გაზეთში მოხსენებული იყო, რომ განჯის გუბერნიის, ყაზახის მაზრის, სოფ. გუსხანაში საქონლის ჭირი გაჩნდაო. ეხლა იუწყებიან, რომ იმავე მაზრის სოფ. აქსიმარშიაც გაჩენილა საქონლის ჭირი.

ტფილისის მაზრის სოფ. ახალსოფელშიაც გაჩენილა საქონლის ჭირი.

⁂ სოფ. ვაქირი (სიღნახის მაზრა) 13 აგვისტოს: ამ თთვის ათში კვლავ ისახელეს თავი ღამის რაინდებმა. ეხლა სხვა გზა ამოურჩევიათ ამ ვაჟბატონებს. ასე ღამის ცხრა საათი იქნებოდა დაიწყეს ქვის სროლა ვენახებიდგან ჯერ დროგამოშვებით და მერე, როცა უფრო მოღამდა და დაბნელდა, მოუხშირეს. გაჰქონდა კრამიტზე ქვას რახა-რუხი. რახარუხი ისმოდა, მაგრამ ის-კი ვერავის გაეგო, თუ ვისგან და საიდგან მოზუზუნებდა ქვა. შეიქმნა ერთი ალიაქოთი. ეს ამბავი შეატყობინეს ადგილობრივ მამასახლისს. ეჭვი მიიტანეს ოთხ ახალგაზდაზედ, რომელნიც უცხო სოფლელნი არიან და აქ დუქანში ექეიფნათ.

ესენი ჩვენებაში აირივნენ, სულ სხვა-და-სხვა ნაირად სთქვეს როგორ გაატარეს საღამო და ღამე. მამასახლისმა ოქმი შეადგინა და ოთხივე შებოჭილი ბოქაულს გაუგზავნა. ეხლა ამბობენ, რომ 12 აგვისტოს ბოქაულს ის ვაჟბატონები სიღნახში გაუგზავნია გამომძიებელთან, მაგრამ გზაში გაქცეულან და თან ორლულიანი თოფიც წაუღიათ.

⁂ სენაკის მაზრა: ჩვენს მაზრაში ხოლერა გაჩნდა. ხოლერით ავადმყოფნი აღმოჩნდნენ: სოფ. საჩოჩიოსა, ჭალადიდში, ნაშიკოლიას, ლებაჩასს და ნალეპროუსში. 5—13 აგვისტომდე მთელს მაზრაში ავად გახდა 13, ამათში 10 გარდაიცვალა

⁂ ს. საცხენისი (თელავის მაზრა): სოფ. საცხენისში ამ ჟამად ციებცხელება მძვინვარებს. არა ზოგავს არც ბავშვებსა და არც მოხუცებულებს. სოფ ნასომხარიც-კი, რომელიც ტყეში მდებარეობს მაღალ ადგილზედ და მშვენიერი წყაროს წყალი აქვს, ვერ გადარჩა ამ ავადმყოფობას. ამ მიზეზისა გამო პურისა და ქერის ლეწვა ძლიერ დაგვიანდა. ამას ხელი შეუწყო აგრედვე გამუდმებულმა წვიმებმა.

პურისა და ქერის მოსავალი წელს ძლიერ კარგია.

⁂ გაზეთი „ტარაზი“ იუწყება, რომ ცნობილმა მოსკოვის ვაჭარმა ლიანოზოვმა შესწირა ქ. სიღნახის სომხთა სამრევლო სკოლას საკუთარი სამ-სართულიანი სახლი იმ პირობით-კი, რომ სკოლას ამიერიდგან ლიონოზოვის სკოლა ერქვას. სკოლის სამზრუნველომ ამაზედ უარი განაცხადა და შეატყობინა ლიონოზოვს, მაგ პირობიზედ მხოლოდ მაშინ დავსთანხმდებით, თუ სრულიად უზრუნველ ჰყოფთ ამ სკოლასა, ეხლა-კი შემოწირულ სახლის შემოსავალი სკოლის გასავალს ვერ დაფარავძო.

⁂ გაზეთ „კავკაზში“ დაბეჭდილია ტფილისის მოურავის მოადგილის წერილი, რომელშიაც ბ-ნი იზმაილოვი შემდეგ რამესა სწერს: „Нов. Об.“-ში მოყვანილია განკარგულება ქალაქის გამგეობისა იმის შესახებ, რომ მტკვრის წყალი ცნობილია მავნებლად და მეთულუხეებს აღეკრძალათ მტკვრის წყალი გაჰყიდონ; ამ დროსვე-კი ტფილისის წყალის მილებიდგან მცხოვრებთ ეძლევათ პირდაპირ მტკვრის წყალი, რომელიც ცნობილია ყოვლად მავნებელად. დასამტკიცებლად თავის აზრისა გაზეთს მოჰყავს საბუთად, რომ გუშინ-წინ მილის წყალი სრულიად ამღვრეული იყო მთელს ქალაქში.

ქალაქის გამგეობა რაცხს თავის მხრით საჭიროდ განაცხადოს, რომ ამბავი „Нов. Обоз.“-საგან დაბეჭდილი, სრულიად შემცდარია, რადგანაც ამ წლის განმავლობაში, ე. ი. 14-ს მარტიდგან, არაოდეს არა ყოფილა ისეთი გაჭირვება, რომ მტკვრის წყალი გაგვერიოს. წყალი რომ დაგვკლებოდა, ქალაქს აქვს საწური და მტკვრის წყალიც დაიწმინდებოდა, მაგრამ ასეთი საჭიროება არა გვქონია, რადგან ავჭალის წყაროებიდგან იმდენს წყალს ვშოულობთ, რომ მილებში არ ეტევა და ხრამში ვუშვებთ. თუ რომ წყალის სიმღვრიე ავჭალის წყაროების ნაკლებობის მიზეზი იყოს, მაშინ მთელს ქალაქში ყოველგან ამღვრეული იქმნებოდა წყალი და არა მარტო ზოგ ალაგს.

ხოლო მილის წყალის სიმღვრიე იმას მიეწერება, რომ ხანდისხან მილი უწყლოდ რჩება, ჟანგს იკიდებს და თან ჰაერიც ეპარება შიგ. ზოგ ადგილას კიდევ მილებს შეკეთება სჭირია და მიტომ მოდის ხანდისხან მილის წყალი ამღვრეული.

◆◆

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ს. აკეთი. (გურია). 9 მარიამობისთვს ჩვენს სოფელს ეწვია ოზურგეთის მაზრის უფროსი, რომლის ბრძანებითაც მამასახლისს მთელის საზოგადოების მკვიდრნი სკოლის ეზოში შეეკრიბნა. პირველად მაზრის უფროსმა აქაური წიგნთსაცავი დაათვალიერა და რა ნახა, რომ ყველაფერი თავის წეს-რიგით იყო ნაწარმოები, დიდად გაეხარდა, მუდმივი წევრობა აღუთქვა წიგნთსაცავს და შემწეობას დაჰპირდა. შემდეგ მიჰმართა საზოგადოებას და გამოუცხადა, რომ თქვენ მოგიხმეთ, რათა აწინდელი ერთ-კლასიანი სასოფლო სკოლა ორ-კლასიანად გადაკეთოთო. ამის შესახებ დიდხანს ესაუბრა ხალხს მაზრის უფროსი, ბევრი მაგალითი სთქვა უცხო ქვეყნის ცხოვრებიდამ, რომ კეთილდღეობა ხალხისა იქ არის გაჩაღებული, სადაც განათლებას უფრო მაგრად მოუკიდნია ფეხიო. სადაც გონებრივი სიბნელე ჰმეფობს, იქ ხალხიც დაცემული და დაქვეითებულია, იქ არც გონებრივი კეთილ-დღეობაა და არც ზნეობრივი სიწმინდეაო. ამ ჩემს სიცოცხლეში ბევრი ქვეყანა მომივლია, ჩვენი ვრცელი სახელმწიფო კიდით-კიდემდე ვიცი, უცხო ქვეყნებშიაც ვყოფილვარ, მაგრამ გურიისთანა ბუნებით შემკული, ბუნებით მდიდარი და დახატული კუთხე ჯერ არსად მინახავსო. აქ რომ ბუნებასთან ერთად მკვიდრთა განათლებული გონება ჩაებმოდეს საქმეში, ეს თქვენი ქვეყანა ედემად გარდაიქცეოდა და თქვენ ნეტარი და ბედნიერი ცხოვრება გექმნებოდათო. ყოვლისავე ამის გამო მიიღეთ ჩემი თხოვნა, შეიგნეთ ჩემი დარიგება და თქვენ შვილთა საკეთილ-დღეოდ შეადგინეთ განაჩენი ორ-კლასიანის სასწავლებლის დაარსების შესახებ. ამასობაში სამეურნეო სასწავლებლის ბედიც გადაწყდება და თქვენი შვილები პირდაპირ ამ სასწავლებელში შევლენ, აღიჭურვიან სამეურნეო ცოდნით და მაშინ იმათი შრომა ერთი-ასად დაჯილდოვდება ამ ნაქებს ბუნებით მდიდარ ქვეყანაშიო...

საზოგადოების დიდმა უმეტესობამ სრული თანხმობა გამოუცხადა მაზრის უფროსს ორ-კლასიან სკოლის დაარსების შესახებ. მაზრის უფროსმა ახლა უარის მთქმელ უმცირესობას დაუწყო ჩაგონება და მალე ისინიც დაითანხმა. საქმე განაჩენის შედგენაზე და ხელის-მოწერაზე მიდგა. ამ დროს საზოგადოებას შეუტყვია, რომ იმათი სკოლის მასწავლებელი ბ-ნი ა. წითლიძე დირექტორს სხვა საზოგადოებაში გაუმწესებია. ამ ამბავმა ყველა დაალონა და დააფიქრა. სთხოვეს მაზრის უფროსს, გვიშუამდგომლე სახალხო სკოლების დირექტორთან, რომ ისევ წითლიძე დარჩეს ჩვენში მასწავლებლადო. მაზრის უფროსმა სთქვა, რომ ეს ჩემი საქმე არ არის და ამას გარდა მასწავლებლად წითლიძე იქნება თუ სხვა—ეგ სულ-ერთიაო. სულ ერთი რომ არ არის ეგ ჩვენ გამოცდილებით ვიცითო, ამბობდა საზოგადოება, და რადგანაც კარგს მასწავლებელს ჩვენში აღარ აყენებენ, ორ-კლასიან სკოლაზედაც უარს ვამბობთო. ამას შემდეგ ბევრი ილაპარაკა მაზრის უფროსმა, თითონ ბ-ნმა წითლიძემაც, მაგრამ საქმეს ვერაფერი ეშველა, საზოგადოება მაინც თავისას გაიძახოდა: წითლიძე თუ არ გვეყოლება მასწავლებლად, ეს ერთ-კლასიანი სკოლაც ფუჭია ჩვენთვისო. ამ ჩოჩქოლსა და აურ-ზაურში საღამომაც მოატანა და საზოგადოება დაიშალა. ასე უკუღმა საქმის დატრიალების გამო მაზრის უფროსი, რასაკვირველია, დიდად გულ-ნატკენი დარჩა.

ვინც იყოს

სოფ. გორჩხა (ბათუმის ოლქი), 6 მარიამობისთვე. თქვენ მტერს გაუჭირდა ისე საქმე, როგორც ჩვენ გაგვიჭირდა ამ ორის თთვის უწვიმობის გამო. მთელ ამ ზაფხულის ნაშრომი და ნაოფლარი კაცისა და ქალ-ბაღნისა გადაგვიწვა გვალვამ. საზოგადოდ ჭოროხის ხეობა იმისთანა ქვა-კლდიანი ადგილებია, რომ კვირაში თუ ერთჯერ მაინც არ მოვიდა წვიმა, აქაურ ქართველ მაჰმადიანების ცოლ-შვილი გახდება შიმშილის მსხვერპლი. აგერ ორი თთვე სრულდები, რაც აქაურ ადგილს ცისნამი არ უნახავს და ამის გამო არ იციან, როგორ გამოკვებონ ქალ-ბაღანა მომავალში. ოთხ-ფეხ საქონლის შეხედვამ ხომ გული შეუწუხა ადამიანს. ზამთარში უფრო მსუქნები იყვნენ, ვიდრე ეხლა. გახმა ბალახი და ლამის შიმშილით დაიხოცნენ. ხე ტყე ისე გახმა, რომ ცეცხლი წაეკიდოს ნავთივით მოედება.

ამას წინად ოთინკოს აბანოსთან (კარჩხალის მთის ახლოა), ტყეს ცეცხლი წაეკიდა და დიდის ვაი-ვაგლახით გააქრობინა სოფელს იქაურმა ბოქაულმა.

კიდევ კარგი რომ ვინც იხმარა ჭკუა, პური და ქერი დათესა, იმან მოიგო. პურისა და ქერის დროს სამყოფი წვიმა მოდიოდა და კიდეც კაი კაკლიანი გამოდგა. მაგრამ სამწუხაროდ, ეს პური და ქერი ძალიან ცოტა ჰქონდათ დათესილი, რადგანაც ამათი სარჩო ერთად ერთი სიმინდია, უფრო სიმინდის თესვას მისდევს აქაური ფუხარა. თუ სიმინდი არ მოუვიდოდა, თუთუნი მაინც ექმნებოდა სამყოფი და ამით მაინც იბრუნებდა სულს. ახლა-კი რამდენ ადამიანის ტირილის მოწმები ვართ და შიმშილით დახოცვის ნიმუშიც თვალ-წინ გვიდგას.

ჯოში. სადარაჯო ახალი გაკეთებული იყო. შეშა—რავდენიც გნებავდა; სახლის წინ პატარა ბოსტანიც იყო. რკინის გზის ლიანდაგის გვერდზედაც პატარა სახნავი მიწაც ჩააბარეს, ესე ნახევარ დღისა. გაეხარდა სიმონას. სულ იმაზედ ფიქრობდა, როგორ მოეწყობა: ძროხას, ცხენს გაიჩენს.

რაც საჭირო იყო რკინის გზის დარაჯისთვის, ყველაფერი მისცეს: მწვანე და წითელი ბაირაღი, ფარნები, რქა, ხვედა, გასაღები, საჩეხი, ბარი, ცოცხი; ორი წიგნაკი კანონებისა და ერთიც მატარებლის მიმოსვლისა. რავდენიმე დღე და ღამე სიმონას არა სძინებია: სულ იმასა სწავლობდა, რა დროს რომელი მატარებელი დადიოდა.

მატარებელს ორ საათის შემდეგ უნდა გაევლო, სიმონა-კი ადრევე შემოუვლიდა თავის სადარაჯოს, წამოჯდებოდა ფიცარზედ სადარაჯოს წინ და მთლად ცქერად და სმენად გადაიქცეოდა: ლიანდაგი ხომ არ ინძრევა, ან მატარებლის ხმაურობა ხომ არ ისმისო. კანონებიც გაიზეპირა, თუმცა ცუდად, ჩათვლით კითხულობდა, მაგრამ მაინც კარგად გაიკვეთა.

ზაფხული იყო. სამუშაო აღარ ეძნელებოდა: ისე თოვლის ხვეტა არ უნდოდა. მატარებლებიც ხშირად არ დადიოდნენ იმ გზაზედ. შემოუვლის სიმონა თავის სადარაჯოს დღეში ორჯელ, აქა-იქ ქახრაკს მოუჭერს, ღორღს შეასწორებს, წყლის მილებს დაათვალიერებს და გასწევს თავის ოჯახის დასახედავად.

ოჯახის საქმეში-კი ცოტა რამ დაბრკოლება ჰქონდა: რის კეთებაც გინდა დაგეწყო, ყველაფერზედ უნდა გზის ოსტატს დაჰკითხებოდი; ის დისტანციის უფროსს გადასცემდა და მანამ პასუხი მოვიდოდა, დრო გადიოდა. სიმონაც და იმისი ცოლიც, ცოტა არ იყოს მოწყენილებიც იყვნენ უსაქმობისა გამო.

გავიდა ერთი ორი თთვე. სიმონამ ახლო მეზობელი დარაჯები გაიცნო. ერთი იმათგანი ძალზედ ბებერი იყო: ძლივს გამოძვრებოდა ხოლმე თავის სადარაჯოდგან—ცოლი უვლიდა გზას იმის მაგივრად. მეორე დარაჯი, უფრო მახლობელ სადგურთან, ყმაწვილი კაცი იყო, გამხდარი და ძარღვიანი. ისა და სიმონა პირველად შეხვდნენ ერთმანეთს ლიანდაგზედ, სადარაჯოების შუა როცა ორივენი გზას ათვალიერებდნენ. სიმონამ ქუდი მოუხადა და თავი დაუკრა.

— მეზობელს გაუმარჯოს! მიესალმა სიმონა.

მეზობელმა გვერდზედ შეხედა.

— გაგიმარჯოს, უპასუხა, გაბრუნდა და წავიდა.

ამას შემდეგ შეხვდნენ ერთმანეთს ამათი დედაკაცებიც. სიმონას არინა მიესალმა მეზობელს. იმანაც ბევრი არ ილაპარაკა, სახლისკენ გაეწია.

ერთხელ სიმონამ დაინახა და ეუბნება:

— რა ამბავია, ჩემო რძალო, რომ შენი ქმარი ეგრე მღუმარეა?

დედაკაცი ცოტა ხანს შედგა, მერმე უთხრა:

— აბა რა აქვს იმას შენთან სალაპარაკო? სუყველას თავისი... გაიარე შენთვის!..

გაიარა კიდევ ერთმა თთვემ. უფრო გაიცნეს ერთმანეთი. შეხვდებიან სიმონა და ვასილი ლიანდაგზედ, დასხდებიან ნაპირას, ეწევიან ჩიბუხს და ლაპარაკობენ თავის ყოფა-ცხოვრებაზედ. ვასილი უფრო ჩუმად იყო, სიმონა-კი უთხრობდა სოფელზედაც, ლაშქრობაზედაც.

— ცოტა ტანჯვა-კი არ გამომივლია ჩემ სიცოცხლეში, თუმცა ეგრე ხნიერიც არა ვარ. არ მარგუნა ღმერთმა ბედი. რა იღბალიც დაუნიშნა ღმერთმა კაცს, ვერ წაუვა იმ იღბალს. აი ესეა, ჩემო ძმაო, ვასილ სტეფანიჩ! ვასილ სტეფანიჩმა გამობერტყა ლიანდაგზედ ჩიბუხი, ადგა და სთქვა:

— არა! ბედი-კი არ გვიმწარებს სიცოცხლეს. ხალხი... დედამიწის ზურგზედ კაცზედ ავი და ბოროტი მგელიც-კი არ არის. მგელი მგელს არ შესჭამს, კაცი-კი ცოცხალს კაცს გადაყლაპავს.

— არა, ძმაო, მგელიც მიირთმევს მგელს; მაგას ნუ იტყვი.

— სიტყვამ მოიტანა, იმიტომ ვსთქვი. მაინც ღვთის გაჩენილობაში კაცზედ უწყალო არავინ არ არის.

ყველა იმასა სცდილობს, ხორცში ბრჭყალები ჩაგიყაროს, გამოგგლიჯოს და შეგჭამოს!

შეფიქრიანდა სიმონა.

— არ ვიცი, ძმაო! იქნება ეგრეც იყოს. მაგრამ თუ მართლა ეგრეა, ალბად ეგეც ღვთის დადგენილებაა.

— თუ ეგრეა, ეუბნება ვასილი, მე და შენ სალაპარაკო არა გვაქვს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა დროს ამ თთვეში ზოგიერთ ალაგას მოსატეხი იქმნებოდა ხოლმე სიმინდი, დღეს-კი ნახევარ არშინის სიმაღლეც არა აქვს. თუთუნსაც სიმინდზე უფრო გლახა დრო დაუდგა. კვლავ ამ დროს თითო მოსახლეს ოც ფუთიდგან ორმოცამდის ექმნებოდა მოტეხილი და გაშრობილი კიდეც, ეხლა-კი აქაურობაში წაბლის ფოთლის ტოლას ვერსად ვერ ნახავთ და რაც დღე და ღამე მიდის, იმდენად უფრო იწვის სიცხისა და ცხელის ქარისაგან. მადლობა ღმერთს, შიმშილით ამ დუნიაზედ არავინ დახოცილა და ჩვენც იმედი გვაქვს არ მოვკვდებით მაგრამ ჩვენი სადარდელი საქონლის გამოსაკვებია, ჩალა და „ნაქურჩალა“ თუ აღარ იქნება, რით უნდა გავცეთ პასუხი. სიმინდის შოვნის იმედი კიდევ გვაქვს ბათუმიდამ. კახაბერში, როგორც ამბობენ, წვიმებიც არის და მოსავალსაც კაი პირი უჩანს; იქ თუ იქნა სიმინდი, ამოტანაც იქიდგან არ არის ძნელი. მაგრამ აბა იქიდგან ჩალა როგორ ამოვიტანოთ საქონლისთვის, რომ მეხუთედი არ ამოგვყვება შინამდის, რადგანაც ამ სიშორეზე ჩალის ზიდვა მოუხერხებელია. სოფ. მარადიდის ქვევით ბათუმამდის თითქმის ყოველ კვირა წვიმა მოდის და ჩვენ-კი ასე ვართ წვიმის ნატრული. ეხლა რომ იწვიმოს კიდეც, მაინც ჩვენს გაჭირვებას არას უშველის; ისეა სიმინდი და თუთუნი გადამწვარი, რომ არაფერი წვიმა ამას ვერ მოაბრუნებს. მოხუცებულები ამბობენ, ამისთანა ყურალს (გვალვა) ჩვენ არ მოვსწრებივართ და უსათუოდ მივუახლოვდით ამ დუნიის „ახირსაო“.

ხეობის მკვიდრთა სარჩო და საკვები ნავით მოგებული ორი გროში იყო. ისინიც ამ დროებით თითქმის უსაქმოდ აღამებენ, რადგან ჭოროხი იმ ზომამდის დაპატარავდა გვალვის გამო, რომ ძალიან გასაჭირია დატვირთულ ნავის ტარება ბათუმიდგან ართვინამდის. იმდენად დაპატარავდა წყალი, ამბობენ, ხელის წისქვილს ვერ მოაბრუნებსო, ბ აბა მენავეებმა როგორ ამუშაონ ნავი. მენავეები გრძელ თოკს აბმენ ნავსა, შეებმება ხუთი კაცი და ისე იწევენ თავალმა დატვირთულს ნავს, მაგრამ ყოველ ფეხის ნაბიჯზე დატვირთული ნავი ქვას ედება. ახლა იფიქრეთ, ვინ იქნება იმისთანა ლარიბი და ლატაკი, რომ ამ ნაირად ატაროს ნავი ოთხმოც-და-ათ ვერსის მანძილზე თავ აღმა. წყალ-პატარაობის გამო ართვინიდგანაც ძალიან საშიში შეიქნა ნავით სიარული ბათუმამდის. რადგან ზევიდგან ქვევით ცოტა ჩქარა მოდის, ამ დროს ადვილად შეიძლება ან სადმე კიდეც მიაჯახოს და ან არა და ქვას დაახალოს. ვისაც ცურვის იმედი არა აქვს, ისინი თითქმის ვერა ბედავენ ნავში ჯდომას და წასვლას ბათუმამდის.

სამის დღის წინად მურღულის ხეობაში ვიყავი, სახელდობრ სოფ. ტრაპენსა და არხვას, რომელიც მურღულის ხეობაში ნაქებია თუთუნით. მაგრამ, როგორც სხვაგან, აგრეთვე იქაც ძალიან დაუზიანებია თუთუნი გვალვას, ასე რომ იმის მეათე ნაწილიც არ მოუვათ, რაც შარშან და შარშან წინ მოსდიოდათ. რადგან მურღულის ხეობის გამო წამომცდა სიტყვა, არ იქნება ურიგო ერთიორი სიტყვაც კიდევ მოვახსენო იმ ხეობის შესახებ „ივერიის“ მკითხველთ.

სახელმწიფო ქონებათა მინისტრის განკარგულებით 24 ივლისს ამოვიდა მურღულის ხეობაში ბ-ნი ბათუმის ტყეთა ზედამხედველი ა. ლ. აბაზაძე, რომელსაც ჰქონდა მინდობილი ჩაებარებინა ადმინისტრაციისაგან ამ ხეობის ადგილ-მამული და ტყე. იმ დროს აქ ბრძანდებოდა თვით თავ. მ. ერისთავი (ოლქის უფროსი) ავადმყოფი და აგრეთვე ართვინის განყოფილების უფროსი თ. ი. კ. აბაშიძე. ხუთი-ექვსის დღის განმავლობაში ჩამოიარეს მთელ ხეობის სოფლები და დაათვალიერეს სახნავ-სათესი ადგილები და ტყეები. ამ თთვის პირველს გაათავეს ჩაბარება. ახლა, როგორც გავიგეთ ნამდვილ წყაროდგან, ბ-ნ აბაზაძემ უნდა დაურიგოს, უმაღლეს განკარგულების ძალით, აქაურ ფუხრებს მოსახლეზე თორმეტი დესეტინა სახნავ-სათესი, დესეტინა ნახევარი სახლ-კარის ადგილი, სამი დესეტინაც ტყე. როგორც აღმოჩნდა „ხართაში“ (კარტაში), თუ უმაღლეს განკარგულების ძალით დაურიგდა ფუხარას სახნავ-სათესი ადგილები, მაშინ იმათაც არ ეყოფათ, ვინც აქ დარჩენილან და არ გადასახლებულან ოსმალეთში. ახლა ამ ფუხრებს იმედი აქვსთ ბ-ნ აბაზაძისა, რომ არ დააკლებს იმ ზომას და დაურიგებს, რაც-კი კანონმა არგუნა ამათ. მაშინ, რასაკვირველია, თუ რამე გადარჩა, დაურიგებს იმათ, ვინც უფრო იქნება გაჭირვებული, მალაკნები, თუ სხვები. თუმცა მურღულის ხეობას აქვს ჭოროხიდგან საზღვრამდე 15 ვერსის სიგძე და სიგანით-კი ორი ვერსის მეტი არ იქნება გაღმა-გამოღმა მხარეს, მაგრამ, როგორც ხართიდგანა სჩანს, ნახევარზე მეტი კლდე და ქვიანი ადგილებია, სადაც არაფერი დათესილა თავის დღეში და არც ეხლა დაითესება. სადაც-კი ტყეებია, იმის გაკაფვის ნებას უსათუოდ მთავრობა არ მისცემს და, მაშასადამე, ის ადგილები უნდა დაურიგდეს ფუხაროს, რომელიც დღემდის იხვნოდა და ითესებოდა.

თ. ი. ჯაიანი

◆

ქალების საყურადღებოდ

გაზეთ ფიგაროში ამას წინად შესანიშნავი წერილი იყო დაბეჭდილი ერთ ახალგაზდა ფრანცუზის ქალისა. იმედ დაკარგული და სასოწარკვეთილი ქალი უჩივის საქმროებს. ფიგარომ-კი თავის მხრით ამ საგნის განსამარტებლად მიმართა ალექსანდრე დიუმას—შვილს, როგორც ქალების გულთამხილავ მწერალს. გონება მახვილმა მწერალმა თვითეულად განიხილა საჩივარი ახალგაზდა ქალისა და ძალიან მარჯვე და მოხერხებული პასუხი მისცა.

ახალგაზდა ქალი სჩივის, რომ თუმცა დედამ მიაღებინა კარგი სწავლა-განათლება, მაგრამ ამავე დროს მზითევის შესახებ-კი სრულებით არ უზრუნია და ამ მიზეზით, აგერ ორი წელიწადი გადის, რაც ის საზოგადოებაში გამოსულა, აუარებელს ქალაქებში დაესწრო, ურიცხვ ახალგაზდა კაცებთან იცეკვა, რომლებსაც ის ძალიან მოსწონდათ, ეტრფოდნენ, ეალერსებოდნენ, აღმერთებდენ, მაგრამ რა?.. საქმრო მაინც არ გამოჩნდა, არა და არა!.. „სად მიიმალნენ,—კითხულობს ის გულ ჩათუთქული ქალი,—საქმროები, 30—35 წლის ახალგაზდა კაცები?“

ალექსანდრე დიუმა საყვედურს უთვლის ყმაწვილ ქალს მშობლების უმადურობაზე და თან დასძენს, რომ ეს ჩვეულებად აქვთ იმ ახალგაზდა ქალებს, რომლებსაც გათხოვება ეჩქარებათო. ეს ქალბატონი მეტის მეტად აჩქარებულა, რადგანაც თითონვე ამბობსო, რომ ჯერ ოცის წლის მეტისა არა ვარო.

კაცები ისე სულელები როდი არიან, როგორც ქალებს აქვთ წარმოდგენილი და რიგიანი საქმრო „სომბრანიებში“ არ დაეძებს საცოლეს, სადაც ახალგაზდა ქალები გადახვეული დაფრინავენ სხვა-და-სხვა კავალერებთან. მოხდება ხანდის-ხან, რომ ლამაზს და ღარიბს ყმაწვილ ქალს, სიყვარულით და უფრო კიდევ სიბრალულით, შეირთავს ვინმე მილიონერი, მაგრამ ეს იშვიათი შემთხვევა, ათასში ერთი... რაც შეეხება ბრწყინვალე ახალგაზდა კაცებს, რომლებიც საუცხოვოდ ცეკვამენ ვალსს და გასაგრილებლად გაყინულ რძეს მიაწოდებენ ქალებს და ალტაცებით აქებნ მათს ჩაცმულობას, იმათ ძალიან კარგად იციან, თუ რამდენად ჯდება ეს ჩაცმულობა; ხანდის-ხან იმათაც დაუკვეთიათ ასეთი კაბები ნაცნობ ქალებისათვის, იციან თუ რად ულირს ეს ქმრებსა და საყვარლებს, და სწორედ ამისათვის თხოულობენ ისინი დიდს მზითევს.

მშრომელი კაცი, რომელიც ცხოვრებას მოფიქრებით შესცქერის, ამხანაგს—მეუღლეს კოტილიონში როდი არ დაეძებს.

იმავე წერილში ყმაწვილი ქალი ამბობს: „მე არ ვლაპარაკობ მარტო ჩემს მაგივრად, მე ბევრი ამხანაგი და ნაცნობი გასათხოვარი ქალი მყავს ჩემსავით იმედ-დაკარგული და სასოწარკვეთილი. მოგვეცით რჩევა, რა გვარად მოვიკლათ დრო, დრო მომაბეზრებელის ლოდინისა. როდის იქმნება, რომ გამოჩნდეს ჩვენი მხსნელი გაჭირვებისაგან? რა ნაირად ვიშოვოთ და გავაბევროთ ჩვენი მზითევი? თეატრის და საზოგადოდ ხელოვნების ნიჭი ჩვენ არა გვაქვს, ექიმობას სიამოვნებით ვისწავლიდით, მაგრამ ამას ბევრი დრო მოუნდებოდა და მანამდის სიბერეც შემოგვეპარება. ვაჭრობა სათაკილოა და მასწავლებლებით-კი მთელი ქვეყანა აივსო. რა გვეშველება?!.

დიუმა უპასუხებს: „საოცარია, რომ ოცის წლის ქალი, სიცოცხლით სავსე, ნასწავლი, მომზადებული ცხოვრებისთვის, ისეთს უკიდურესობაში ჩავარდნილა, რომ გათხოვების მეტი ცხოვრებაში სხვა არა აგონდება-რა, არა იტაცებს-რა და არა ართობს-რა. რამდენად შეუძლია იმას სიყვარული, ერდგულობა, თავგანწირულობა ან რა იდეალები აქვს? ამაებზედ ერთს სიტყვასაც არ ამბობს. რა დედა იქმნება, რა მსხვერპლი შეუძლიან შესწიროს თავის შვილებს; დაეხმაროს ჭირსა და ლხინში ერთგულსა და პატიოსანს მეუღლეს; რა ცოლი იქმნება, ან რა ადამიანი?—არც ეს ვიცით!..“

დიუმა წინასწარმეტყველობს, რომ ყველა ამისთანა ქალს ტყუილი იმედი აქვს გათხოვებისა, ის უეჭველად უქმროდ სიბერეს უნდა მოელოდესო.

ჭეშმარიტია, მოწყალეო ხელმწიფავ,—განაგრძობს დიუმა,— რომ თქვენ და მრავალი თქვენისთანა ყმაწვილი ქალები ძველს, დაობებულს აზრზე ხართ და არიან აღზრდილნი: ქალი ლამაზია, განათლებულია, პატიოსანია; ნუ თუ ეს ღირსება არ არის საკმაო, რომ მან შესაფერი ქმარი იშოვოსო?“

უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ამაებით საქმრო აღარ იშოვება, ისეთი საქმრო როგორიც, თქვენა გსურთ. კაცებს, რომლებიც თქვენ მოგწონთ, სამწუხაროდ, თქვენ სრულებითაც არ მოსწონხართ და ვისაც თქვენ მოსწონხართ, ის თქვენ არ გინდათ, რადგანაც ფუფუნებით აღზრდამ თქვენ მიგაჩვიათ უსაქმურობას, ჰრანჭვა-გრეხას. რამდენ გამოფენაზედაც არ წაგიყვანონ, სადაც უნდა გამოგაფინონ: სალონებში, საზაფხულო აგარაკებში, თვით ჩიკაგოს გამოფენაზედაც-კი, მაინც ერთსა და იმავე სიმღერას გაიგონებთ: სად არის ქალო, თქვენი მზითევი? რატომ არ უნდა ითხოვოს საქმრომ მზითევი, თუ-კი თქვენ თხოულობთ მისგან განცხრომა ფუფუნებაში ცხოვრებას?

თქვენ და ყველა თქვენი ამხანაგები მეტად მრუდე გზას ადგიხართ. უფრთხილდით ქალბატონებო! შეიძლება უიმედობამ იმ ზომამდე მიგიყვანოთ, რომ უკანონო ქმრებსაც დაშორდეთ, რაკი კანონიერს ვერ იშოვით. აბა, ქალბატონებო, მე ვერაფერს ნუგეშსა გცემთ. თქვენ ერთობ საშიშარი პრინციპი გაქვთ: თქვენა გძულთ შრომა, რომელიც ეხმარება ადამიანს დიდს უბედურებაში, ნუგეშს აძლევს ყოველს გაჭირვებაში, ჰბადავს და ზრდის ძალას ბრძოლისათვის. თქვენ ფიქრობთ, რომ შრომა ხვედრია დაბალ ხალხისა. დიდად შემცდარი ბძანდებით. ჩვენი ქვეყანა მხოლოდ მაშინ დადგება მკვიდრ ნიადაგზედ, როცა

რა. თუ ყველა სისაძაგლეს ღმერთს დააბრალებ, შენ-კი გულ-ხელ-დაკრეფილი იჯდები და ითმენ, მაშინკაცი-კი არა, პირუტყვი იქმნები. აი ჩემი სიტყვა! გაბრუნდა ვასილი და წავიდა—არც-კი გამოემშვიდობა. სიმონაც ადგა.

— მეზობელო, უყვირის, რად მიწყრები?

მეზობელმა არ მოიხედა.

დიდხანს უყურებდა სიმონა, მანამ ვასილი თვალს არ მოეფარა. დაბრუნდა სიმონა სახლში და ცოლს ეუბნება.

— რა კაცია, ქალო, ჩვენი მეზობელი?! გესლია—კაცი-კი არა.

ჩხუბით-კი არ წაიჩხუბნენ. ისევ ისე შეიყრებოდნენ ლიანდაგზედ და სულ ერთსა და იმაზედვე საუბრობდნენ.

— ეჰ, ძმი! ხალხი რომ არ იყვეს —ამ სადარაჯოებში-კი არ ვისხდებოდით მე და შენ, დაიწყებდა ვასილი.

— სადარაჯოში არა უშავს-რა... ცხოვრება შეიძლება!

— ცხოვრება შეიძლება... ცხოვრება შეიძლება... ეჰ! ბევრი გიცხოვრია, ცოტა ჭკუა გამოგიტანია; ბევრი გიცქერია, ცოტა დაგინახავს. საწყალ კაცის ცხოვრება, სადარაჯოში იქნება თუ სხვაგან სადმე, რა ცხოვრებაა? ეს მყვლეფავები გჭამენ და!. სულს ამოგაცლიან! როცა-კი დაბერდები, გამოგიძახებენ, როგორც უბრალო ჩენჩოს ღორების საჭმელად. რას იღებ ჯამაგირს!.

— ცოტას, ვასილ სტეფანიჩ! თორმეტ მანათს.

— მე-კი ცამეტს და ათ შაურს. ახლა რათა, გკითხამ? გამგეობისაგან ყველას ერთი აქვს გადაწყვეტილი. თხუთმეტი მანათი, შეშა და სანათი. მაშ ვინ დაგვინიშნა მე და შენ, თორმეტი მანათია თუ ცამეტი და ათი შაური? შენა გკითხამ! შენ-კი იძახი, ცხოვრება შეიძლებაო. კაცო, გაიგე: საქმე ორსა და სამ მანეთში არ არის!

გინდა მთლად თხუთმეტიც მოგვცენ. გასულ თვეებში სადგურზედ ვიყავი; დირექტორმა გაიარა, მე ვნახე, დიდი პატივი სცეს, განცხრომით დასეირნობს თივისთვის ცალკე ვაგონში. გამოვიდა პლატფორმაზედ, დაადგა... არა, აღარ დავრჩები აქა; წავალ, საითაც იქნება!..

— სად წახვალ, ვასილ?! აქ სახლიცა გაქვს, სითბოც, ცოტა მიწაც; ცოლიც გამრჯელი დედაკაცია...

— მიწა!.. ერთი ნახე, და ისე სთქვი: ერთი წკეპლაც არ არის ზედა. გაზაფხულზედ კომბოსტო დავრგვი. მობრძანდა რკინის გზის ოსტატი: „ეს რაღააო? რატომ არ მოახსენეო? ნება-რთვა რატომ არ აიღეო? ემ საათშივე დაგლიჯეო, რომ მაგის სუნიც არ იყვესო“.

სხვა დროს არაფერსაც არ იტყოდა; მაშინ გაუცხოვლდა: „სამი მანეთი ჯარიმაო!“ გაჩუმდა ვასილი, გააბოლა ჩიბუხი და ნელა სთქვა:

— ცოტა კიდევ, და იქვე ტვინს დავანთხევინებდი.

— მეზობელო, ძალზედ ფიცხი ყოფილხარ, შენმა მზემ!

— ფიცხი-კი არა, მართალს ვამბობ და სწორედ ვსჯი. კიდევ მომივა დრო—მაცადოს იმ ჩაწითლებულმა ჯოჯომ!.. თვით დისტანციის უმფროსთან ვუჩივლებ. ნახამს!

მართლაც უჩივლა.

ერთხელ დისტანციის უმფროსმა გზის სარევიზიოდ გაიარა. სამის დღის შემდეგ ვიღაც დიდ კაცები უნდა წაბრძანებულიყვნენ იმ გზით: იმიტომ ყველაფერს ათვალიერებდა, რომ რიგზე ყოფილიყოს. ქვიშა მიაყარეს აქა-იქ, შეასწორეს; შპალები დასცვალეს „გაიკები“ დაამაგრეს, ბოძები შეღებეს. სიმონა მთელი კვირა მუშაობდა, ყველაფერი რიგზედ მოიყვანა. თავისი ტანისამოსიც გაისუფთავა. ვასილიც მუშაობდა. დისტანციის უფროსი მოვიდა. სიმონამ სალდათურად მოახსენა: ყველაფერი რიგზედ გახლავთო!

— დიდი ხანია აქა ხარ? ეკითხება უფროსი.

— ორ მაისიდგან, თქვენო კეთილშობილებავ!

— კარგი. მადლობელი ვარ. ას სამოცდა მეოთხე ნომერში ვიღაა?

გზის ოსტატმა, რომელიც უფროსთან ერთად მოვიდა, უპასუხა: ვასილი სპირიდოვი.

— სპირიდოვი... სპირიდოვი... ჰო, ეგ ის ხომ არ არის, თქვენ რომ შარშან რაღაშიაც შენიშნეთ?

— სწორედ ის გახლავთ.

— კარგი. აბა, წავიდეთ, ვნახოთ ვასილი სპირიდოვი.

უყურებს სიმონა და ფიქრობს: ერთი რამ ამბავი მოხდებაო.

შჩ.

(დასასრული იქნება)

ყველანი ერთ გვარად შრომას დაიწყებენ.

კაცები თანდათან ერიდებიან დაქორწინებას და სიყვარულში უბრალო სიამოვნების მეტს ვერას ხედვენ. თქვენ და თქვენისთანა ღარიბმა და უმზითო ქალებმა უნდა დაჰკარგოთ იმედი მილიონებისა, ანუ ჰერცოგის ცოლობისა და გული დაამყაროთ პატიოსან მუშაკს. დროა თქვენის თავის იმედი იქონიოთ და კაცებისაგან აღარას მოელოდდეთ!

რად შეგძულებიათ ხელოვნება, მეცნიერება, მრეწველობა, მეურნეობა, ვაჭრობა: ამაებშია სული და ცხოვრება საზოგადოებისა. მოგვაძეთ კაცებს და მიიღეთ მცირეოდენი პირადი ღირსება, რასაც ვერ ეღირსებით ვერც ამპარტავნობით, ვერც გულ-ღია კაბებითა და ვერც ვალსით.

აი, ჩემის აზრით ეს უპირველესი საშვალებაა, რომ თქვენ რიგიანი საქმრო იშოვოთ. საჭიროა არ არი მზითვისათვის ზრუნვა. იშრომეთ, ქალბატონებო, იშრომეთ; შეისწავლეთ მხატვრობა, როგორც როზა ბონერმა ჰქმნა, ლიტერატურა, როგორც ქ-ნმა ზანდმა, დრამატიული ხელოვნება, როგორც სარა ბერნარმა, როგორც ელიოზამ, თარგმანები, როგორც ქ-ნმა დასიემ, მრეწველობა, როგორც ქ-ნმა ერარმა, ვაჭრობა, როგორც ქ-ნმა ბუსიკომ. შეიძლება ეს ადვილი არ იყოს, მაგრამ ისე მოსაწყენი-კი არ არის, როგორც ქმრის ძებნა და გათხოვების ლოდინი, და არც ისე დამამცირებელი, როგორც გათხოვების იმედის დაკარგვა და სასოწარკვეთილება.

კასკა ერისთავი

1863 წ.

◆ ◆

უცხოეთი

ინგლისი. გაზეთებში ამ ჟამად მრავალი ცნობები იბეჭდება ინგლისში ქვის ნახშირის კრიზის შესახებ. პარლამენტის წევრმა და მდიდარმა მწარმოებელმა ვილიამსმა გამოაცხადა, რომ ინგლისში არაოდეს არა ყოფილა ასე გამწვავებული ქვის ნახშირის საქმეო. თითქმის ყველა მადნებში მუშაობა შეჩერდა.

4 აგვისტოდგან 7 აგვისტომდე ლონდონში მოსულა სულ 27 გემი, ნახშირით დატვირთული. ზოგიერთ ქარხნებში ნახშირი სულ გამოილია და ამის გამო ფასმა ძლიერ აიწია. ერთი ტონნი ნახშირი ღირს ეხლა 28 შილინგი. ზოგიერთ ადგილებში ნახშირი სრულიად აღარ არის და ქალაქებს არ ანათებენ. გაფიცულ მუშებსა და იმ მუშებს შორის, რომელთაც მუშაობა არ აღკვეთეს, სიძულვილი ისე გაძლიერდა, რომ საქმე სისხლზე მიდგა. 7 აგვისტოს, მაგალითად, დაულესში მომხდარ ჩხუბში 10,000 კაცი ჩაერია. აგრეთვე ძლიერ გამწვავდა საქმე მადნების პატრონებსა და მუშებშორის. მადნების პატრონები ყველაფერს გაფიცულ მუშებს აბრალებენ, ძლიერ დიდს სამუშაო ფასს ითხოვდნენო, და აცხადებენ, უკანასკნელ წამამდე ვიბრძვით და რაც შეგვეძლება დავეხმარებით იმ მუშებს, რომელნიც გაფიცულთ არ მიემხრნენო. მუშები-კი თავის მხრივ ყველაფრის ბრალს მადნების პატრონებსა სდებენ, მათ მხოლოდ ის უნდოდათ, რომ ძლიერ დიდ ფასად გაეყიდნათ ქვის ნახშირი, რომელიც უკვე შენახული ჰქონდათო. აქამდეო, ამბობენ მუშები, ჩვენი გაფიცვა მხოლოდ ჩვენთვის იყო საზარალო და მადნების პატრონებს-კი არაფერი დააკლდათო.

საფრანგეთი. 7 აგვისტოს პარიჟში დაასაფლავეს გვამი გარდაცვალებულის ექიმის შარკოსი. განსვენებულის სურვილის გამო, დასაფლავების დროს არც ერთი სიტყვა არ იქმნა წარმოთქმული. კუბოზედ არც ერთი გვირგვინი არა სჩანდა. კუბოს ედვა მხოლოდ მანტია პროფესორისა, ქუდი და დაშნა ინსტიტუტის წევრისა. შარკოს პატივის მცემელთ მრავალი გვირგვინი გამოგზავნეს. ამ გვირგვინებით შარკოს საფლავი შეამკეს.

◆ ◆

მეურნეობა

ყოველმა მემამულემ იცის ყოველთვის არ დაირგება ახლად ამოთხრილი ხე. ამ შემთხვევაში საჭიროა დროებით მაინც დარგოთ. ამისთვის ამოითხრება ორმო, რომელშიდაც ჩარგვენ ხეს მთელის თავის ფესვებით და ორ-ორ ვერშოკნახევარზედ მოიყრება მიწით. ამას გარდა ფესვები ხისა საჭიროა თავისუფლად იქმნეს მიწაში, რომ ერთმანერთში არ იქმნეს გადახლართული. ნერგები ერთი მეორეზედ მჭიდროდ უნდა იქმნეს ჩარგული და ამოღების დროს არამცა და არამც მეორე ხის ფესვებს არ უნდა შეეხოთ.

დროებით დარგვის დროს ხის რჩენას მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც პირველად საჭიროა, რომ ფესვები დაცული იყოს მიწაში.

საზოგადოდ უნდა ვიცოდეთ, რომ ნიადაგს, რომელშიაც იქმნება ჩანერგული ხე დროებით, არა აქვს მნიშვნელობა, მაგრამ საჭიროა რომ ქვიანი ალაგი არ იქნეს და საზოგადოდ ისეთი ალაგი სადაც დიდი სითმო იქნება, თორემ ხეს ფესვები უთბება, და ფუჭდება. ამასთანავე უნდა უფრთხილდეთ, რომ ნერგს არ ჩაატანოთ შიგნით ხავსი, ბზე და ბალახი, რადგანაც ესენი იზიდვენ თაგვს, რომელიც უხრავს ნერგს ფესვებს. დარგვა შეიძლება მაშინ, როდესაც ნიადაგი ცივია, ოღონდ-კი გაყინული არ იყოს.

◆ ◆

დეპეშა

17 აგვისტო

ბერლინი. გამოცხადებულია აკრძალულ იქმნას შეტანა გერმანიაში რუსეთიდამ ნახმარის ტანისამოსისა და ძველეულობისა, გარდა იმისა, რაც მოგზაურთა ბარგს შეადგენს. ეს აკრძალვა ფინლანდიას არ შეეხება.

იმპერატორი გუშინ ღილით კობურგში მივიდა, სადა ჰერცოგი ერნესტი დაასაფლავეს წმინდა მავრიკის ეკკლესიაში. იმპერატორის გარდა დასაფლავებას დაესწრნენ კოროლი საქსონიისა, დიდი ჰერცოგი ბადენისა, პრინცი უელისა, ქვრივი განსვენებულის ჰერცოგისა და ჰერცოგინა მარია ალექსანდრეს ასული. იმპერატორი წავიდა კობურგიდამ ხუთს საათზე საღამოს.

პეტერბურგის ბირჟა, 3 აგვისტო

	მყიდვე-ლისა.	გამყი-დველისა.	გაყიდუ-ლისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	$7_{,74}$	$7_{,77}$	— ,,
ტამოჟნის კუპონები .	$154^{1}/_{2}$	$155^{1}/_{2}$	— ,,
მანეთიანი ვერცხლის ფული	— ,,	— ,,	— ,,
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— ,,	— ,,	$241^{1}/_{2}$
—მეორისა	— ,,	— ,,	$225^{1}/_{2}$
4% მესამე სესხისა. .	— ,,	— ,,	— ,,
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი .	$194^{1}/_{4}$	— ,,	— ,,
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა:			
6%.	$101^{1}/_{2}$	— ,,	— ,,
5%.	— ,,	$100^{1}/_{4}$	— ,,
ქუთაისის ბანკისა 6%.	$101^{1}/_{2}$	— ,,	— ,,
5%.	— ,,	$100^{1}/_{4}$	— ,,
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	— ,,	— ,,	$98^{3}/_{4}$

გამოსადეგი ცნობანი
რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 2 წ. საღ.

. . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 20 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 30 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 20 წ. დილ.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

ბათუმიადმ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დღისით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალ-

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

განცხადებანი

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—91)

გამოსადეგი ცნობანი
პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ყ. მ. ჩიქოანი, 9—$10^{1}/_{2}$ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტაში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—$11^{1}/_{2}$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვეისა და. დედათა სქესისა.

ი. ფ პროტასევიჩი, $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ საათამდის, სნეულებანი: ყურ-ს, ყელის და ცხვირისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—$1^{1}/_{2}$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. ა. გადომსკი, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^{1}/_{2}$ საათამდის.

ქ. ი. ფრანციუსი, $7^{1}/_{2}$—8 საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

КАВКА
ВЫС
СЕЛЬСК.
ПРОМЫШ
188
...ИМПЕРАТ. И САМОД. ВСЕРОС...

ტფილ. გამოფენა.


Б.М. АЛЕКСАНДРЪ III ИМП. И САМОД. ВСЕРОСС.
ЗА УСЕРДІЕ

ვერცხლისა

Б.М. АЛЕКСАНДРЪ III ИМП. И САМОД. ВСЕРОСС.
ЗА УСЕРДІЕ

ოქროსი

ალექსი თუთაევის
ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ
ტფილისში:

ვიღებ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასად ზეთს, ყოველ ნაირ ზეთიანს და მშრალ კრასკებს, აგრეთვე ლიტო-ტიპოგრაფიისას და ამათ მოწყობილებას, კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებშიაც 20%-ის ზეის გამოგზავნით, დანარჩენი საქონელის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). რაც შეეხება კარგი თვისების და კარგა შეზავებულის კრასკის გაყიდვას, ყველა მსყიდველი დარწმუნებული უნდა იყოს რომ უტყუარი იქნება. ჩემის საშუალებით და ჩემის თავდებობით შეუძლიან ყველას ყველანაირის სინიდისიანის ხელოსნების შოვნა, მხოლოდ ცოტა ადრე უნდა შეგვატყობინონ.

(48—41) ალ. თუთაევი

საკომერციო კურსები
ქალებისა და ვაჟებისათვის
წელი მეთორმეტე

კურსებიცს დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შეიძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1893—94 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო კანონმდ, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია მარტივი, ორ-კეცი დ- საბანკო 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერაა 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი.

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზე, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მაიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—13)

Доз. ценз. Тифлисъ, 17-го Августа 1893 г.
სტამბა მ შარაძისა,
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე